საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შენიშვნები 2026 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით

1. 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუხლი 3. გრანტების სახით შემოსავლებში წარმოდგენილია 5 278,1 ათასი ლარი, აქედან 386,8 ათასი ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერი, ხოლო 4 891,3 ათასი ლარი სპეციალური ტრანსფერი.

   გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ, რაიმე ნორმატიული აქტი, ან რაიმე სხვა (შესაძლებელია ეს იყოს წერილი, ზეპირი დაპირება და სხვ.), თუ რის საფუძველზე იქნა შეტანილი ბიუჯეტში ზემოთ აღნიშნული სპეცილაური ტრანსფერის რაოდენობა;
2. ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში მუხლი 2. შემოსულობების სახით არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში ნაჩვენებია 500 ათასი ლარი.

   გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ, შესაბამისი ნორმატიული აქტები, ან აგვიხსნათ, თუ რის საფუძველზე იქნა შესაბამისი თანხა ბიუჯეტში ასახული;

3. 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციულ ერთეულებში საბიუჯეტო ასიგნებები:
   - ხრეშოვანი ან გრუნტის არსებული გზების სავალი ნაწილის აღდგენისა (ღორღი, ხრეში) და სანიაღვრე არხების მოწყობისათვის;
   - წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციისთვის;
   - სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობისათვის;
4. მუნიციპალიტეტის მერიამ დააზუსტოს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან (მუხლი 16. კოდი 06.01.03) გაცემული დაუფინანსებელი ადმინისტრაციული დაპირებების რაოდენობა თანხობრივად, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საბიუჯეტო ასიგნებებში.